დამრიგებლის ანგარიში

VI^ა კლასი, დამრიგებელი:ციალა სანებლიძე

მოსწ. რაოდენობა: სასწავლო წლის დასაწყისში კლასში ირიცხებოდა 23 მოსწავლე

გადავიდა ____ 1

ჩაირიცხა ____ 0

პირველი სემესტრი დაასრულა 22 მოსწავლემ.

I სემესტრში გაცდენილია - სთ

სადამრიგებლო საათზე განხილული თემები:

17.09–.კლასის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების დეკლარაციის შემუშავება/ქცევის წესევის შემუშავება

უკუკავშირი – კლასის საათი ჩატარდა მოსწავლეებისათვის უფლება–მოვალეობის გაცნობისა და ქცევის წესების შემუშავების მიზნით. მოსწავლეები გაეცნენ საკუთარ უფლება–მოვალეობებს,ასევე შეიმუშავეს ქცევის წესები. ინფორმაციის გააზრების მიზნით ჩატარდა დისკუსია, რაც ვფიქრობ დაეხმარათ მიღებული ინფორმაციის ტრანსფერში.

24.09____.ბავშვთა კონვენციის გაცნობა

უკუკავშირი – კლასის საათზე გაიმართა საუბარი თემაზე: ''მე პიროვნება''. გაიმართა საუბარი პიროვნულ ღირსებაზე. ვიდეო მასალაზე დაყრდნობით მოხდა სიტუაციის გარჩევა/ანალიზი, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარა საკითხის გააზრებაში.

15.10– „კორონავირუსული პანდემია"–სანიტარულ ჰიგიენური წესები და მათი დაცვის აუცილებლობა

უკუკავშირი – კლასის საათზე ვისაუბრეთ კორონავირუსის პანდემიაზე, გამომწვევ მიზეზებზე, პრევენციის საშუალებებზე, რომ აუცილებელია დისტანცია,ხელების ხშირი დამუშავება, ასევე ოთახის ხშირი განიავება. მოსწავლეებმა გაითავისეს არსებული რისკ–ფაქტორები.

29.10– .წიგნის კითხვის უპირატესობა

უკუკავშირი – თანამედროვე ეპოქაში ახალგაზრდების უმრავლესობას წარმოუდგენლად მიაჩნია არსებობა ტექნოლოგიების გარეშე. შესაბამისად, წიგნის კითხვის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებენ მობილურს. იმისათვის რომ გაეთავისებინათ რამდენად მავნებელია მობილურის ხშირი გამოყენება , ვანახე ვიდეო რგოლი. გავმართეთ დისკუსია. მოსწავლეებმა თავად დაინახეს რამდენად საზიანოა ტექნოლოგიის ჭარბი გამოყენება და შევადარეთ წიგნს, რომელიც სრულიად უსაფრთხოა, რომელიც საუკეთესო მეგობარია და ავითარებს როგორც შემოქმედებით ასევე კრეატიულ აზროვნებას. გავაკეთეთ ჩამონათვალი, რისი წაკითხვაც მათი ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისობაში მოდის.

12.11– ცხოვრების ჯანსაღი წესი

უკუკავშირი – კლასის საათზე ვისაუბრეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა, რომელიც გულისხმობს: დღის რეჟიმი, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები...

26.11– .უნდა გვეშინოდეს თუ არა პრობლემების?

უკუკავშირი **–** კლასის საათზე ვისაუბრეთ შემდეგ საკითხზე: ''ჩვენ და პრობლემები''. ვისაუბრეთ პრობლემებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე და მოგვარების ალტერნატიულ გზებზე.

03.12– ურთიერთობა თანატოლებთან და უფროსებთან

უკუკავშირი **–** კლასის საათზე გაიმართა დისკუსია თემაზე: რამდენად მნიშვნელოვანია თანატოლებთან და უფროსებთან ჯანსაღი კომუნიკაცია.

23.12– რა ვიცით ტრადიციების შესახებ?

უკუკავშირი **–** *მოსწავლეებს პრეზენტაციის საშუალებით გავაცანი საქართველოს წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. მათ შორის ვისაუბრეთ ახალ წელზე და შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე. მიმოვიხილეთ თუ როგორ ხდება მათი აღნიშვნა საქართველოში ასევე ვთხოვე მოემზადებინათ პროექტი თუ როგორ აღნიშნება აღნიშნული დღესასწაული მათ ოჯახში.*

მშობლებთან კომუნიკაცია: სემესტრის განმავლობაში მქონდა აქტიური კავშირი მშობლებთან, რამოდენიმეჯერ კლასის საჭიროებიდან გამომდინარე ჩავატარე მშობელთა საერთო კრება ტიმსში და მესენჯერში.

28.01– მოძრაობის წესები

უკუკავშირი **–** კლასის საათზე ვისაუბრეთ თემაზე: „ გზაზე მოძრაობის წესები“. მოსწავლეებს ავუხსენი შუქნიშნით სარგებლობის წესები. მოსწავლეთა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია სიტუაციური ამოცანების გათამაშებამ რა დროსაც ჯგუფურად უნდა ემსჯელათ თუ როგორ მოიქცეოდნენ მოცემულ სიტუაციაში.

04.02– დღის რეჟიმი შემუშავება

უკუკავშირი **–** კლასის საათზე ვისაუბრეთ დღის რეჟიმის აუცილებლობაზე, რათა ნოახდინონ თავიანთი აქტივობების სწორად და ეფექტურად დაგეგმვა/განხორციელება. კლასის საათზე გავარჩიეთ თითოეული მოსწავლის მიერ შემუშავებული დღის რეჟიმი. ვისაუბრეთ თუ რომელი მათგანი იყო სამაგალითო. მოსწავლეებმა შეიმუშავეს ყველასათვის მისაღები და ჯანსაღი დღის რეჟიმი.

25.02– როგორ ვებრძოლოთ მავნე ჩვევებს

უკუკავშირი **–** ვისაუბრეთ თემაზე: ''როგორ ვებრძოლოთ მავნე ჩვევებს?'' მოსწავლეებს ვუჩვენე ვიდეო მასალა, რომელშიც მოცემული იყო სხვადასხვა პრობლემა, როგორიცაა: სიგარეტის მოწევა, ნარკოტიკები, ალკოჰოლის მიღება. მოსწავლეებს ვთხოვე მოეხდინათ პრობლემების იდენტიფიცირება, გამომწვევი მიზეზები... ვისაუბრეთ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღი გზით ცხოვრება.

04.03– სამართლიანობა,პატივისცემა

უკუკავშირი – კლასის თემაზე ვისაუბრეთ ცხოვრებისეულ ღირებულებებზე, როგორიცაა სამართლიანობა და პატივისცემა. მოვახდინეთ როლური თამაში....